საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2014 2015 წლის 21 სექტემბერი ქ. თბილისი

„სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოსათვის“ (უცხოური საწარმოს ფილიალი) უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, „სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანია ლიმიტედი საქართველოს“ (უცხოური საწარმოს ფილიალი, ს/კ: №205011609) უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 49 (ორმოცდაცხრა) წლის ვადით, გადასცეს ამ განკარგულების დანართში მითითებული უძრავი ნივთები.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ნივთების უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადაცემის პირობად განისაზღვროს უზუფრუქტის საგნის გაზსადენის მშენებლობისა და შემდგომი ექსპლუატაციის მიზნით გამოყენება.

3. ამ განკარგულების შესრულების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ -

სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

				დანართი
№	მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №	მისამართი	დანიშნულება	ფართობი (კვ.მ.)
1	83.02.16.338	მარნეულის მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)	9938
2	83.02.16.342	მარნეულის მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)	10297
3	83.02.16.340	მარნეულის მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)	20843
4	83.02.16.343	მარნეულის მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)	3472
5	83.02.13.350	მარნეულის მუნიციპალიტეტი, ჯანდარის დასახლება	სასოფლო-სამეურნეო (საძოვარი)	2500
6	84.08.32.254	თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი	სასოფლო-სამეურნეო (სახნავი)	8032